ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 13

ქალაქი ბათუმი

17 ივნისი, 2019 წელი (17 : 00 სთ)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებ-ში (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარაში;
2. თამაზ თურმანიძე - შპს „რუსული რეგისტრი ვესტჯორჯია"-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
3. მარიამ ბურკენაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენ-ტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი;
4. თემურ კაკაბაძე - „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებები-სათვის" დამფუძნებელი და თავმჯდომარე ;
5. მაყვალა კვირიკაძე - შპს „მაკო"-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოცი-აციის თავმჯდომარე;
6. გურამ ფუტკარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
7. თამარ ხუხუნაიშვილი - მ. იაშვილის სახელობის ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალური ჰოსპიტლის კლინიკური დირექტორი;
8. ნათია აფხაზავა - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი ;
9. ნინო ინაიშვილი - საზოგადოება „ბათომის" დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმღვა-ნელი.
10. ზურაბ ჩიხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
11. ლაშა ნაკაშიძე - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში - UNDP – GEF - პროექტის „მწვანე ქალაქები მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის" ხელმძღვანელი;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ - გვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 11, სხდომაზე იყო აბსულიტური (სრული) დასწრება.

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან სხდომას ესწრებოდნენ :

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის - ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსი - სულხან ეკგენიძე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე, განათლების, კულტურის, სპორტსა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი - აკაკი გვიანიძე, შპს ,,სანდასუფთავების'' დირექტორი - დავით დუმბაძე, დირექტორის მოადგილე - ნარგიზ ფალავანდიშვილი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - შოთა თოდაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ :

ნათია სირაბიძე - ევროპის კულტურის პარლამენტი, რობერტ ხაჩატურიანი - STR – კონსალტინგი და ISO ექსპერტი, ასლან ბოლქვაძე - კინტრიშის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია, მეც.დოქტორი, მარკელა ჩხაიძე - ქალთა და ბავშთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ,,მეჯლისი'', თეონა დიასამიძე - დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, მარიკა ჩხუბაძე - ,,დემოკრატიის ინსტიტუტი'', ია ბაკურიძე - ,,თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი'', ელზა ლომაძე -,,თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი'', ნინო ჩახაიძე - CSI.

სხდოამას ესწრებოდნენ წარმოდგენილი პროექტებისა და იდეების ავტორები.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმანიძე.

სხდომას შემდგომი გაშუქების მიზნით ესწრებოდნენ - აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელისა და ტვ 25 - ის ჟურნალისტები.

დღის წესრიგი გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: -

დღის წესრიგი - # 13 (17 ივნისი - 2019 წ / 17 : 00 სთ)

საკითხი 1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში საპროექტო განაცხადების განხილვა, შერჩევა და გამოვლენა.

საკითხი 2. საბჭოს სხდომების ხშირი და ასევე ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენებისა და საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე

(მისამართი : ქ.ბათუმი ლუკა ასათიანის ქ. 25 - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი)

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათ - ვალისწინებული საკითხები.

საკითხი 1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში საპროექტო განაცხადების განხილვა, შერჩევა და გამოვლენა.

კახაბერ გუჩმანიძემ ძალიან მოკლედ ისაუბრა და შეეხო მონაწილეობითი ბიუჯეტის მიზნებს, დაფინანსების წყაროს, ბიუჯეტის შედგენის პროცედურებს, ხაზი გაუსვა პროექტის მნიშვნელობას და განაცხადა : - „ პროექტი საპილოტეა და იმედს გამოთქვამ ის მომავალშიც პოზიტიურად დაიმკვიდრებს თავს და სასიკეთო ბენეფიტებს მოუტანს საზოგადოებას. "

კახაბერ გუჩმანიძემ - საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს აცნობა, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ. გვერდზე ინტეგრირებულ ელ. პლატფორმაზე შემოვიდა რამოდენიმე ათეული საპროექტო განაცხადი, რომლთაც დებულების თანახმად ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს შესაბამისი სპეციალისტების მიერ გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პარამეტრების თანახმად გაუკეთდათ პირველადი ანალიზი და სხდომაზე საბოლოოდ განსახილველად წარმოდგენილი იქნა 34 პროექტი.

კახაბერ გუჩმანიძემ განაცხადა, რომ დებულების მიხედვით შერჩეული პროექტების საბოლოო ანალიზს ახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და გამოავლენს საუკეთესო განაცხადებს საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებათ, ხოლო განაცხადების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ათ პროექტს.

კახაბერ გუჩმანიძემ სხდომაზე დამსწრეთ აცნობა, რომ პროექტების განხილვის პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართული ქ. ბათუმის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმოამდგენლები და დამსწრე ექსპერტები, რომლებიც საბჭოს თხოვნით იქნენ მოწვეულები, ასევე სხდომის თავმჯდომარემ შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ საპროექტო განაცხადები შეირჩევა რეიტინგული ღია კენჭისყრით და პირველი ათი საპროექტო განაცხადი, რომელიც დააგროვებს ყველაზე მეტ ხმას რეკომენდირებული იქნება საბჭოს მიერ საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებათ.

კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ პროექტები დაეხარისხებინათ თემატური კუთხით და ღია რეიტინგული კენჭისყრით თითოეულ პროექტზე ცალ - ცალკე ეყარათ კენჭი და მას შემდეგ გამოევლინათ ყველაზე მეტად მხარდაჭერილი 10 პროექტი.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე, საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ინიციატივას.

კახაბერ გუჩმანიძემ თხოვნით მიმართა ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს წარმომადგენელ - აკაკი გვიანიძეს და საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ედნარ ნატარიძეს თანმიმდევრობით დიდ ეკრანზე წარმოედგინათ თემატურად დახარისხებული პროექტები საბჭოს მიერ შემდგომი განხილვის მიზნით.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე გაიმართა მსჯელობა წარმოდგენილი პროექტების მიმართ, დაისვა კონკრეტული შეკითხვები, რიგ შემთხვევებში ეთხოვათ დამსწრე ექსპერტებსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა, ასევე ყოველ თემატურად დალაგებულ პროექტებზე მსჯელობისას სპეციფიკაციებიდან გამომდინარე მეტი დაზუსტებისთვის აქტურად იყვნენ ჩართული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი პირები.

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების მხრიდან საბჭოსთან ერთად კონკრეტულ პროექტებზე მსჯელობისა და განხილვის პროცესში დაზუსტებების შემდგომ იმ ასპექტების გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი აქტივობები ისედაც ფინანსირდებოდა მუნიციპალური ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გამოითქვა მოსაზრებები მსგავსი პროექტები არ დაეყენებინათ კენჭისყრაზე.

ჩატარდა ღია კენჭისყრა (თითოეულ პროექტთან მიმართებაში ცალ-ცალკე) და გადაწყდა, რომ აღნიშნული პროექტები არ დამდგარიყო კენჭისყრაზე, რადგან დუბლირებას არ ჰქონოდა ადგილი.

მსჯელობისა და განხილვის პროცესში გამოვლინდა ისეთი პროექტებიც რომელთა ბიუჯეტიც დაანონსებულ და თითოეული პროექტისთვის გათვალისწინებულ მოცულობას (არაუმეტეს ორმოცი ათასი ლარი) საგრძნობლად აჭარბებდა, საბჭომ თავმჯდომარემ მსჯელობის შემდგომ მიმართა საბჭოს წევრებს არ განეხილა მსგავსი პროექტები და არ გაეტანათ კენჭისყრაზე.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საკითხს არ დაეყენებინათ კენჭისყრაზე პროექტები დადგენილზე მეტი მოცულობის მქონე ბიუჯეტით.

ასევე გამოვლინდა პროექტები რომელთა მიმართებაშიც მუნიციპალიტეტის მერია გეგმავდა კომლექსური მიდგომის შემუშავებას, ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებას რასაც გარკვეული პერიოდი დაჭირდებოდა, ამიტომ მისცა რეკომენდაცია საბჭოს არ დაეყენებინა კენჭისყრაზე აღნიშნული პროექტები.

ჩატარდა ღია კენჭისყრა (თითოეულ პროექტთან მიმართებაში ცალ-ცალკე) გადაწყდა არც ეს პროექტები დამდგარიყო კენჭისყრაზე.

სხდომაზე წარმოდგენილი პროექტების ირგვლივ განხილვისა და მსჯელობის პროცესში აქტიურად ჩაერთნენ საბჭოს წევრები, ისინი აფიქსირებდნენ თავიანთ მოსაზრებებს თითოეულ პროექტთან მიმართებაში, სვამდნენ შეკითხვებს, მოჰყავდათ მათ ხელთ არსებული სტატისტიკა, მეტი კონკრეტიკის მიზნით საბჭოს წევრები შეკითხვებს პროექტების დამსწრე ავტორებს უსვამდნენ.

განხილვისა და მსჯელობის პროცესში თითოეულ პროეტზე კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა ის პროექტები, რომლებმაც ყველაზე მეტი მხარდაჭერა მიიღეს.

საბოლოოდ დათვლის შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ ერთმა პროექტმა მიიღო 11 ქულა (მომხრე), ერთმა - 10 ქულა, ერთმა - 9 ქულა, ერთმა - 8 ქულა, ოთხმა - 7 ქულა, ერთმა - 6 ქულა. თავდაპირველად შეირჩა ცხრა ყველაზე რეიტინგული პროექტი.

კახაბერ გუჩმანიძემ - შესთავაზა საბჭოს წევრებს დამატებით კიდევ ერთი პროექტი შეერჩიათ იმ ოთხი პროექტიდან, რომლებმაც თანაბრად ხუთ-ხუთი ქულა დააგროვეს.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ინიციატივას.

კახაბერ გუჩმანიძემ თხოვნით მიმართა აკაკი გვიანიძეს დამატებით ხელახლა, განმეორებით წარმოედგინა ეკრანზე თანაბარი სარეიტინგო ქულების მქონე ოთხივე პროექტის მცირე ანოტაცია, თითოეულ პროექტს ცალ-ცალკე ეყარა კენჭი და შეირჩა საუკეთესო ყველაზე მეტი მხარდაჭერით (4 ქულით).

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე გამოვლინდა ათი საუკეთესო პროექტი რომელიც საბჭოს გადაწყვეტილებით რეკომენდირებული იქნა საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებათ და ეთხოვა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამის ელ. პლატფორმაზე განთავსება. შერჩეული იქნა შემდეგი პროექტები :

1. ელექტრომობილების დასატენი ობიექტები

2. ბათუმი - ველოქალაქი

3. წარწერა „ ბათუმი " ბათუმგორაზე

4. ჭარტი

5. სუპერთევზები

6. ბათუმის ფრანების ფესტივალი

7. წერეთლის სკვერის ახალი სიცოცხლე

8. მწვანე ტურიზმი (1 ტურისტი = 1 ხე)

9. ნატვრის ხე

10. უფასო ინტერნეტი ცენტრალურ პარკში

კახაბერ გუჩმანიძემ მადლობა გადაუხადა ქ.ბათუმის მერიის შესაბამისი სამსახურების მესვეურებს და პროექტების ავტორებს სხდომაზე დასწრებისა და აქტიური ჩართულობის გამო, ასევე აღნიშნა საბჭოს წევრთა ობიექტურობა განხილვის პროცესში და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს რომ მიმდინარეობდა მთელი სხდომის ვიდეოჩაწერა, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს დეტალურად გაიგონ ის გარემოებები თუ რატომ იქნა მოწენებულ-მხარდაჭერილი ან დაწუნებული მათთვის საინტერესო პროექტი.

საკითხი 2. საბჭოს სხდომების ხშირი და ასევე ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენებისა და საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

მომხსენებელი : კახაბერ გუჩმანიძე .

სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ გუჩმანიძემ მიმართა საბჭოს წევრებს და ღნიშნა - არასამთავრობო ორგანიზაცია „ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" რომელიც სამოქალაქო საბჭოებთან მიმართებით სხვადასხვა სამიზნე რეგიონებში ახორციელებს პროექტს მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქ. ბათუმის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო თავისი აქტიურობით ერთერთი ყველაზე გამორჩეულია ქვეყნის მასშტაბით და საუკეთესო მაჩვენებელი აქვს (პირველ ადგილზეა).

კახაბერ გუჩმანიძე აღნიშნა - „ ვფიქრობ საბჭო საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობს და ასრულებს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, თუმცა ხშირად გვექმნება პრობლემა, რომ ქვორუმი ვერ შედგეს, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ყველა სხდომა იყო გადაწყვეტილებაუნარიანი, მაინც ვერ ხერდება რიგი წევრების აქტიური ჩართულობა. ამ

მხრივ ყველაზე მეტი არდასწრების მაჩვენებელი აქვთ - ლაშა ნაკაშიძეს და ნათია აფხაზავას, აქედან უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ლაშა ნაკაშიძე სამჯერ ზედიზედ საპატიო მიზეზის გარეშე არ დაესწრო საბჭოს სხდომას, რაც მისი უფლებამოსილების შეჩერების საფუძველია, თუმცა ვფიქრომ მაქსიმუმი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ერთობლივად ვიმუშაოთ და არავის უფლებამოსილების შეწყვეტა არც ჩემი და არც საბჭოს თვითმიზანი არაა''

ლაშა ნაკაშიძე დაინტერესდა თუ რა იგულისხმებოდა არასაპარტიო მიზეზში რასთან დაკავშირებითაც მიიღო განმარტება კახაბერ გუჩმანიძის მხრიდან.

კახაბერ გუჩმანიძემ შეახსენა საბჭოს წევრებს და დამატებით აღნიშნა ის გარემოება, რომ საბჭოს წევრები უარეს შემთხვევაში მინიმუ 3 დღით ადრე არიან ინფორმირებული სხდომის თაობაზე, ეგზავნებათ შეტყობინება მაილზე, მინიმუმ 3 დღით ადრე დღის წესრიგი იტვირთება მუნიციპალიტეტის ვებ. გვერდზე, ასევე სხდომის დღეს საბჭოს თავმჯდომარე სმს შეტყობინების სახით თითოეულ წევრს ახსენებს საბჭოს თარიღსა და დროს, თუმცა მიუხედავად ამისა იშვიათად ხდება სხდომაზე არდასწრების მიზეზის მოწერა და საბჭოს წევრების მხრიდან თავმჯდომარის საქმის კურსში ჩაყენება, რაც დადებითად ვერ აისახება ვერც საბჭოს მუშაობაზე და ვერც კოლეგიალობაზე.

კახაბერ გუჩმანიძე - ,, რამოდენიმეჯერ მოვიწერე აღნიშნულთან დაკავშირებით და თითოეულ თქვენთაგანს გაქვთ ჩემი წერილები ელ.ფოსტაზე, ვფიქრობ მინიმუმ ეთიკისა და კოლეგიალობის საკითხია ერთმანეთი საქმის კურსში ჩავაყენოთ არდასწრების მიზეზთან დაკავშირებით, ამ მხრივ ლაშა ნაკაშიძეს მხრიდან ყველაზე მეტი პასიურობა იგრძნობა, 12 სხდომიდან ის 8 - ს არ დასწრებია და უმეტეს შემთხვევაში არც მიზეზი მოუწერია, ვფიქრობ როცა საბჭოს წევრობას დავთანხმდით ყველამ კარგად ვიცოდით, რომ საბჭო არის სათათბირო ორგანო რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე საქმიანობს ქალაქის საკეთილდღეოთ და მას კონკრეტული ფუნქციები, მოვალეობები გააჩნია, ასე, რომ მას ვინც ვერ ახერხებს სხდომებზე დასწრებას და არც ამის თაობაზე ახდენს საბჭოს ინფორმირებას, ვფიქრობ თავად ეყოფა შეგნება საკუთარი თავი ვერ დაინახოს სათათბირო ორგანოში''

საბჭომ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხზე, გამოითქვა მოსაზრებები :

მაყვალა კვირიკაძე - ვფიქრობ საბჭოს ყველა წევრი დაკავებული და შემდგარი პიროვნებაა, მე ყოველთვის ვახერხებ მაქსიმალური ძალისმევა გამოვიჩინო და დავესწრო საბჭოს სხდომებს, ასევე მოვახდინო საკითხების ინიცირება.

თამაზ თურმანიძე - ყველა წევრს უნდა ესმოდეს, რომ ჩვენ საზოგადოებრივ საწყისებზე ვმუშაობთ და მაქსიმალურად უნდა ვიყოთ ჩართული საბჭოს მუშაობაში, ის ვინც ვერ ახერხებს დასწრებას, არც საკითხების ინიცირება სურს და არც არდასწრების მიზეზზე ახდენს საბჭოს ინფორმირებას ვიქრობ თავადაც ვერ უნდა ხედავდეს საბჭოში ადგილს.

კახაბერ გუჩმანიძე - არაერთხელ მოვიწერე შემოსულიყავით ინიციატივებით, თუმცა რამოდენიმე გამონაკლისის გარდა არ ხდება საჭირბოროტა საკითხების ინიცირება, ასევე რამოდენიმეჯერ გთხოვეთ თქვენთვის მისაღები თარიღი მოგეწერათ სხდომის ჩასატარებლად.

მაყვალა კვირიკაძე - ვფიქრობ ვინც შემდგომშიც გააგრძელებს სხდომებზე არასაპატიო მიზეზით არდასწრებას უნდა შეუჩერდეს უფლებამოსილება და ეს ყველას ეხება.

კახაბერ გუჩმანიძე - ,, ვფიქრობ უხერხულია როცა სხდომების ნახევარზე მეტს ვერ ესწრება საბჭოს წევრი და თან ამაზე არ ახდენს საბჭოს ინფორმირებას, მოგიწოდებთ პატივი ვცემთ ამ ინტიტუტს და ზოგადად ერთმანეთს.''

კახაბერ გუჩმანიძემ მიმართა საბჭოს წევრებს ამ ეტაპზე არ განეხილათ ლაშა ნაკაშიძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი, რასაც საბჭო დაეთანხმა.

კახაბერ გუჩმანიძემ ინიციატივით მიმართა საბჭოს წევრებს და შესთავაზა გაზრდილიყო საბჭოს შემადგენლობა ოთხი წევრით გენდერული ბალანსის დაცვით, რის თაობაზეც უპრიანი იქნებოდა საბჭოს წერილობით მიემართა მერისთვის, რათა თავისი შეხედულებისამებრ შეარჩიოს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი საბჭოს რიგების გასაზრდელად.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: საბჭოს წევრთა სარულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკითხს.

შესამაბისი წერილის მომზადება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

კახაბერ გუჩმანიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე ტელევიზიებს და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს რის შემდგომაც სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი

მარიამ ბურკენაძე

ინფორმაცია

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში საპროექტო განაცხადების განხილვის შედეგების თაობაზე

არ იქნა გატანილი კენჭისყრაზე, რადგან :

საპროექტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობა იყო მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამებთან კავშირსა და დუბლირებაში, ტექნიკური პარამეტრები და საბიუჯეტო ნაწილი იყო დაუზუსტებელი და აღემატებოდა განსაზღვრულ მოცულობას.

20031 , 20053 , 20039 , 20042 , 20054 , 20057 , 20043 , 20049 , 20052 , 20056

საბჭომ საერთოდ არ დაუჭირეს მხარი (0 მომხრე) :

საბჭომ არ ჩათვალა საჭიროდ მხარდაჭერა და არ მოიწონა რადგან პროექტები არ შეესატყვისებოდა დებულებით განსაზღვრულ მიდგომებს

20038 , 20045 , 20050 , 20059

მიიღო მინიმალური მხარდაჭერა (5 მხარდამჭერზე ნაკლები):

20060 – 4 ქულა , 20044 – 4 ქულა , 20036 – 3 ქულა , 20061 – 3 ქულა , 20062 – 2 ქულა , 20040 – 1 ქულა

ოთხმა პროექტმა ასევე მიიღო ქულათა თანაბარი რაოდენობა (5 ქულა) :

20048, 20035, 20063, 20037

საიდანაც შეირჩა ხელახალი კენჭისყრით ერთერთი - 20037.

მიიღო მხარდაჭერა ხმათა უმრავლესობით და რეკომენდაცია მიეცა გასულიყო ღია კენჭისყრაზე :

20046 – 11 ქულა, 20065 – 10 ქულა, 20058 – 9 ქულა, 20041 – 8 ქულა, 20032 – 7 ქულა, 20051 – 7 ქულა, 20055 – 7 ქულა, 20064 – 7 ქულა, 20047 – 6 ქულა, 20037 – 5 ქულა.

ქ. ბათუმის მერის - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

ქ. ბათუმის მერიის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

აკაკი გვიანიძე

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

17 ივნისი 2019, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(მრჩეველთა საბჭოს წევრები)

#	Name სახელი, გვარი	პოზიცია	Signature ხელმოწერა
1.	კახაბერ გუჩმანიძე	თავმჯდომარე	
2.	თამაზ თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3.	მარიამ ბურკენაძე	მდივანი	
4.	მაყვალა კვირიკაძე	წევრი	
5.	ჩინო ინაიშვილი	წევრი	
6.	თამარ ხუხუნაიშვილი	წევრი	
7.	ნათია აფხაზავა	წევრი	
8.	ზურაბ ჩიხლაძე	წევრი	
9.	გურამ ფუტკარაძე	წევრი	
10.	ლაშა ნაკაშიძე	წევრი	
11.	თემურ კაკაბაძე	წევრი	

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

17 ივნისი 2019, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(სხდომაზე დამსწრე საბჭოს არაწევრი პირები)

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact Information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
1.	[illegible]	ბათუმის [illegible] სკოლის სტუდია	595 701730	[illegible]
2.	[illegible]	ი. [illegible] "[illegible]	514-51-09-09	[illegible]
3.	ნინა [illegible]	იდეა ბათუმი	579 099727	[illegible]
4.	[illegible]		593 129119	[illegible]
5.	[illegible]	STR-Consulting LLC	557225050	[illegible]

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
6.	თამაზ ლომსაძე	აკადემიური წრე	591714384	თ. ლ
7.	წოლოსაძე ალალა	„ოზურგეთი"	571211425	ჟ. ნ
8.	ნინო მელაძანაძე	ი(ა)ინ "ფენომენალური სოციალური საკონტროლი"	577 21-21-97	ნ. მელაძანაძე
9.	ნიკო სეხნიაშვილი		599-73-74-63	ნ.
10.	ლევანი ლორია		558 013 003	ლ.
11.	ეკა ფოფორაძე		571185296	ფ
12.	ვახტანგ ფანასაძე	„ფანელი"	557-60-81-40	ვ.
13.	ქეთევან ეფაშვილი	ზურაბი ფოცხიშვილი	555 271212	
14.	გვანცა ლომსაძე	„ჟინელი"	574 145819	გ. ლ

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
15.	ი. ცაცხლაძე	[illegible]	555 26 26 55	ი. ცაცხლაძე
16.	ირაკლი ხელხალაძე	—	595 62 93 91	ი. ხ[illegible]
17.	დაკუნოვ სვეტლანოვა	—	558000380	ს. სვეტლანოვა.
18.	[illegible]	[illegible]	577 595906	[illegible]
19.	მარიკა მოწყობილი	ხელოვნების მუზეუმი	555 97 12 14	[illegible]
20.	მაკვალა დავლიანი	[illegible]	568 22 66 73	[illegible]
21.	[illegible]	[illegible]	599-266-706	[illegible]
22.	[illegible]	[illegible]	577 51 77 66	[illegible]
23.	[illegible]	[illegible]	557 600769	[illegible]

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
24.	მარიამ მიქელაძე		marimiqeladze21@gmail.com 593357242	
25.	სოფიო ქომადაძე		sophio.komadadze@gmail.com 598 08 17 03	
26.	[illegible]		558 548 309	
27.	[illegible]	თეატრალოგიზებული ექსპერიმენტი ქართულში	599 992 997	
28.	Abramashvili David	#20056	551099979	
29.	Krainova Svetlana	#20056	sveta@prism-experience.com 598 554440	
30.	[illegible]	[illegible]	597103203 Kukulatzelasha@Gmail.com	
31.	[illegible]	[illegible]	574 52 51 35 sopogotua@gmail.com	
32.	[illegible]	[illegible]	598109110	

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
33.	[illegible]	[illegible] „[illegible]"	595-11-49-77 todadzeshota@yahoo.com	
34.	[illegible]	[illegible]	591 98 93 76 david.ardzenadze@batumi.ge	
35.	[illegible]	[illegible]	577173703 m.chkhubadze@iod.ge	
36.	[illegible]	„[illegible]"	577383520 Ia.Bakuridze@yahoo.com	
37.	[illegible]	„[illegible]".	557 70 02 76 elralemsadze@gmail.com	
38.	[illegible]	[illegible]	591010104 nsirabidze@gmail.com	
39.	[illegible]	[illegible] „[illegible]"	593461777	
40.	[illegible]	[illegible]	555-00-04-11 s.meparishvili.com	
41.	[illegible]	[illegible]	568 33 51 51	

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
42.	[illegible]	[illegible]	Sulxani-1978@mail.ru	
43.	[illegible]	[illegible]	e.kutaniadze@gmail.com	
44.	[illegible]	CSI	chkhaidze.nino@gmail.com	
45.				
46.				
47.				
48.				
49.				
50.				